საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
წ ა რ მ ო მ ა დ გ ე ნ ლ ო ბ ი თ ი ს ა ბ ჭ ო

გადაწყვეტილება № 07-01/45

ქ. ბათუმი **21 ოქტომბერი, 2022 წ.**

,,ბსუ-ს ბიუჯეტის შედგენის წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2021 წლის 24 დეკემბრის N07-01/59 გადაწყვეტილებაში დამატების შეტანის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18, 23-ე და 24-ე მუხლების, ბსუ–ს წესდების მე–10 და მე-15 მუხლების, ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის სამსახურებრივი ბარათის (19.10.2022 წლის N1222416), წარმომადგენლობითი საბჭოს რეგლამენტის და სხდომის ოქმის (N07-02/06, 21.10.2022წ) საფუძველზე წარმომადგენლობითმა საბჭომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. ,,ბსუ-ს ბიუჯეტის შედგენის წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2021 წლის 24 დეკემბრის N07-01/59 გადაწყვეტილებაში შევიდეს დამატება, კერძოდ, **დაემატოს მე-8 მუხლი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

,,მუხლი 8. გარდამავალი დებულება

1. ადმინისტრაციის ხელმძღვანელი 2023 წლის ბიუჯეტის პროექტს და უნივერსიტეტის ძირითადი საგანმანათლებლო და სხვა სტრუქტურული ერთეულებისთვის გათვალისწინებული ასიგნებების ფარგლებში განსახორციელებელი პროგრამებისა და ქვეპროგრამების და მათი დაფინანსების თაობაზე ინფორმაციას აკადემიურ საბჭოს და წარმომადგენლობით საბჭოს წარუდგენს არაუგვიანეს 2022 წლის 01 დეკემბრისა.
2. აკადემიური საბჭო და წარმომადგენლობითი საბჭო არაუგვიანეს 2022 წლის 10 დეკემბრისა ადმინისტრაციის ხელმძღვანელს წარუდგენს ბიუჯეტის პროექტთან და უნივერსიტეტის ძირითადი საგანმანათლებლო და სხვა სტრუქტურული ერთეულებისთვის გათვალისწინებული ასიგნებების ფარგლებში განსახორციელებელი პროგრამებთან და ქვეპროგრამებთან დაკავშირებულ სარეკომენდაციო ხასიათის შენიშვნებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

3. ადმინისტრაციის ხელმძღვანელი უნივერსიტეტის ბიუჯეტის გადამუშავებულ პროექტს გამოთქმული შენიშვნებისა და წინადადებების გათვალისწინებით არა უგვიანეს 2022 წლის 15 დეკემბრისა ხელმეორედ წარუდგენს წარმომადგენლობით საბჭოს.
4. უნივერსიტეტის ბიუჯეტის პროექტს წარმომადგენლობითი საბჭო კენჭს უყრის არაუგვიანეს 2022 წლის 25 დეკემბერისა. უნივერსიტეტის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება ბსუ–ს წესდებით დადგენილი წესით.
5. თუ წარმომადგენლობითი საბჭო 2022 წლის 25 დეკემბრის ჩათვლით ვერ დაამტკიცებს უნივერსიტეტის ბიუჯეტს, ბიუჯეტის პროექტის იმავე ვარიანტს ან აკადემიურ და წარმომადგენლობით საბჭოებთან შეთანხმებულ და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ გადამუშავებულ პროექტს ხელახლა ეყრება კენჭი არა უგვიანეს 2022 წლის 31 დეკემბრისა.
6. საბიუჯეტო წლის დაწყებამდე უნივერსიტეტის ბიუჯეტის დაუმტკიცებლობის შემთხვევაში, მის დამტკიცებამდე უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი უფლებამოსილია ყოველთვიურად განკარგოს თანხა არაუმეტეს გასული საბიუჯეტო წლის დამტკიცებული ასიგნებების 1/12-ისა.“.

2. წინამდებარე გადაწყვეტილება, კოდიფიცირებულ ვარიანტთან ერთად გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე, ველში ,,იურიდიული ცნობარი“ (ველებში: წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებები“, ,,საუნივერსიტეტო ნორმატიული აქტები“).
3. გადაწყვეტილება დაეგზავნოს ბსუ-ს მართვის ორგანოებს და სტრუქტურულ ერთეულებს.
4. გადაწყვეტილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
5. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ვებგვერდზე გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი,

პროფესორი **დავით ბარათაშვილი**